საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/10

ქ. ბათუმი 29 მარტი 2012 წ.

რსუ–ს გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრში 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის პირველი შუალედური გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2009 წლის 22 იანვრის №05 დადგენილებით დამტკიცებული ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციისა და რსუ-ს გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრის უფროსის, ივდით დიასამიძის 2012 წლის 27 მარტის №949 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. რსუ–ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის პირველი შუალედური გამოცდები ჩატარდეს გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრში 2012 წლის 3 აპრილიდან 6 აპრილის ჩათვლით პერიოდში **დანართი 1**–ის შესაბამისად;
2. გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით დაინიშნონ ოპერატორები და მეთვალყურეები **დანართი 2**-ის შესაბამისად;
3. საგამოცდო პროცესში მონაწილე პერსონალმა იხელმძღვანელოს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდებისა და უნარ–ჩვევების შეფასების ცენტრის დებულებით და გამოცდების ჩატარების ინსტრუქციით.
4. ინფორმაცია (განრიგი) ტესტური გამოცდების ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს რსუ–ს ვებ-გვერდზე, ფაკულტეტებისა და კანცელარიის საინფორმაციო დაფებზე, საჯარო გამოცხადების მიზნით;
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**